სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

94050595252014

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140690216

რეგისტრაციის თარიღი

03.07.2014 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა

ტელეფონი: 2517800 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას თოთხმეტი წლის სამ ივლისს, მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ზაქარია სოზაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს დირექტორი და სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს ელდარ ნეფარიძეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ზაქარია სოზაშვილმა /დაბ. 28.04.1977 წელს, მის. თელავის რ-ნი, ს. ვარდისუბანი, პ№ 20001000949/, მომმართა.

შევამოწმე ზაქარია სოზაშვილის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B14053830,** ამონაწერის მომზადების თარიღი: 21.05.2014, საიდენტიფიკაციო კოდი: 405044198.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის სამი ივლისი

მე, შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს დირექტორი ზაქარია სოზაშვილი უფლებამოსილებას ვანიჭებ ელდარ ნეფარიძეს /დაბ. 31.08.1971 წ., მის. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. 15, ბინა 30, პ№ 01001012500/, ჩემი, როგორც შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს დირექტორის სახელით იმოქმედოს შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405044198) კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე შენობა-ნაგებობების აშენების ნებართვების აღებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებით, შეადგინოს შენობების პროექტები, მოახდინოს შენობა-ნაგებობების პროექტირება, აიღოს მშენებლობის ნებართვები, შეიტანოს პროექტებში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, დააზუსტოს მიწის ნაკვეთების ფართები და საზღვრები, შეიტანოს ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში, იმოქმედოს უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით; იმოქმედოს კომუნალური მომსახურების სამსახურებში, თელასში, წყალკანალში, ყაზტრანსგაზში, დასუფთავების სამსახურში კომუნიკაციების შეყვანასთან და აბონენტად აღრიცხვასთან დაკავშირებით; მიიღოს ინფორმაციები, წარადგინოს და აიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, რისთვისაც უფლებამოსილებას ვანიჭებ მას იყოს შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, გამგეობაში, ქ. თბილისის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან (ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე).

მინდობილობა გაცემულია **ორი წლის ვადით და ძალაშია ორიათას თექვსმეტი წლის სამ ივლისამდე.**

მინდობილობა შედგენილია ხუთი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ოთხი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „დეველოპმენტ ჯორჯია“-ს სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის – 10.00 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, სულ – 12.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო * GEORGIA * ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი * NOTARY EKATERINE DZULIASHVILI * 01001003353